სამართალი

ყოველკვირეული საგაზეთო ჩანართი

11 ივლისი, 2011 წელი, №69

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ განაჩენი მსჯავრდებულთა სასიკეთოდ შეცვალა

ქურდული სამყაროს წევრობის, ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვის, ხულიგნობისა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისათვის ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 6-კაციანი დანაშაულებრივი ჯგუფი გაასამართლა.

2

შემსუბუქებული და ძალაში დატოვებული განაჩენი

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ გიორგი ბოლქვაძეს 17-წლიანი სასჯელი 4 წლით შეუმცირა. გიორგი ბოლქვაძე 2009 წლიდან სასჯელს ორი დანაშაულისათვის - ქურდობისთვის იხდის.

3

21 წელი ყაჩაღობისა და თავისუფლების აღკვეთისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა გახმაურებული საქმის განხილვა და ყაჩაღობასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთაში ბრალდებულს 21 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

3

შეკრებების და მანიფესტაციების ჩატარების უცხოური პრაქტიკა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საერთო სასამართლოების, პროკურატურის, პოლიციის, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების და სამართალდამცველი ორგანოების შენობებთან, ასევე, რკინიგზის სადგურებთან, აეროპორტებთან და პორტებთან 20 მეტრის რადიუსში შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება აკრძალულია. ეს შეზღუდვა პარლამენტისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არ დაწესდება. აკრძალვა ვრცელდება სამხედრო ნაწილებში და ობიექტებში და მათი შესასვლელიდან, ამ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს 100 მეტრის რადიუსი. შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარებისას საერთოდ აკრძალულია ავტომაგისტრალების და რკინიგზის ბლოკირება. კანონით, ადმინისტრაციული ორგანო, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზეც იმართება მანიფესტაცია, უფლებამოსილია განსაზღვროს შეკრების ჩატარების ადგილი შენობის შესასვლელიდან, მაგრამ არა უმეტეს 20 მეტრის დაშორებით. - ეს იმ ცვლილებების მცირე ნაწილია, რომელიც რამდენიმე დღის წინ საქართველოს პარლამენტმა რიგგარეშე სესიაზე "შეკრების და მანიფესტაციების შესახებ კანონში" დაამტკიცა.

მიუხედავად იმისა, რომ "შეკრების და მანიფესტაციების შესახებ კანონში" ცვლილებების შეტანას საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლების მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასებები მიეცა, იგი უკვე დამტკიცებულია და მისი დაცვა შეკრების და მანიფესტაციების ნებისმიერ მსურველს მოუწევს, რადგან შეკრებებისა და

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ამნისტია გაყალბებულ დოკუმენტებზე

ყალბი დოკუმენტების გამოყენებაზე გამოცხადებული ამნისტია უკვე ძალაშია. უკვე გამოიცა იუსტიციის მინისტრის ბრძანება ამნისტიის მოთხოვნით უფლებამოსილი დაწესებულებებისათვის განცხადების წარდგენისა და განცხადების განხილვის წესის დამტკიცების შესახებ.

"ამნისტიის შესახებ" კანონით, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და სასჯელისაგან განთავისუფლდებიან პირები, რომლებიც 2012 წლის 31 დეკემბრამდე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში განაცხადებენ მათ მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იმ ქმედების ჩადენის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია საკუთარი თავის ან ნათესავის სასარგებლოდ ყალბი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა, ბინადრობის მოწმობა, პასპორტი, სამოქალაქო აქტის ჩანაწერი და სხვა) დამზადებასთან, შეძენასთან, შენახვასთან, გამოყენებასთან, მისაკუთრებასთან, გადამალვასთან, განადგურებასთან, დაზიანებასთან.

იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, ამნისტიის მოთხოვნის შესახებ დადგენილი ფორმის განცხადება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, მის ტერიტორიულ სამსახურს, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას წარედგინება. განცხადების წარდგენა შესაძლებელია აგრეთვე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით.

განცხადებას უნდა დაერთოს გაყალბებული-არასწორი მონაცემის შემცველი დოკუმენტი, თუ პირი ფლობს აღნიშნულ დოკუმენტს. თუ პირს დაკარგული აქვს გაყალბებული-არასწორი მონაცემის შემცველი დოკუმენტი, სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში კეთდება აღნიშვნა დოკუმენტის დაკარგვის თაობაზე.

უფლებამოსილი დაწესებულება ვალდებულია შეისწავლოს არსებული მასალები და დაადგინოს საიდენტიფიკაციო მონაცემების პირველადი გაყალბების ან დოკუმენტებში არასწორი მონაცემის შეტანის დრო.

ამნისტიის მოთხოვნით განცხადების განხილვის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 სამუშაო დღეს. უფლებამოსილი დაწესებულების დასკვნა მისი შედგენიდან არა უგვიანეს მესამე სამუშაო დღეს უნდა გადაეცეს განმცხადებელს.

თუ უფლებამოსილი დაწესებულებისათვის შესაბამისი პირის მიმართვის გარეშე ცნობილი გახდება "ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის თაობაზე, დაწესებულების ხელ-

გაგრძელება მე-2 გვერდზე

Vox Populi

შეკითხვები "სამართალს"

რუბრიკა Vox populi სისტემატურად გთავაზობთ მკითხველთა წერილებს, მოსაზრებებს, შეკითხვებს. ამჯერად, "სამართალი" პასუხებს გასცემს შეკითხვებს, რომლებიც სხვადასხვა სახის კონკრეტული დანაშაულისთვის თუ გადაცდომისთვის, კანონით დადგენილ პასუხისმგებლობებს ეხება.

ლევან ვარსიმაშვილი, 58 წლის:

- კონკრეტულად როგორი პასუხისმგებლობა და რა სასჯელია დაწესებული საქართველოს საზღვარზე ფეთქებადსაშიში ნივთიერების, ასაფეთქებელი მოწყობილობის ან ისეთი მასალის შემოტანისთვის, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად?

- საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე შხამიანი, მომწამლავი, რადიოაქტიური ან ფეთქებადი ნივთიერების, შეიარაღების, ასაფეთქებელი მოწყობილობის, ცეცხლსასროლი იარაღის, იმ მასალის ან მოწყობილობის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იყოს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეულის წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან რვა წლამდე. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის;

მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებლის მიმართ ძალადობით,

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თერთმეტ წლამდე.

ციცინო ჯეჯელაშვილი, 57 წლის:

- რაიმე სახის პასუხისმგებლობა არის თუ არა გათვალისწინებული მოვალის მიერ აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის ან კერძო აღმასრულებლისათვის ქონებრივი ნუსხის წარუდგენლობის შემთხვევაში?

- მოვალის მიერ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის-კერძო აღმასრულებლისათვის კანონით გათვალისწინებული ქონებრივი ნუსხის წარუდგენლობა ან არასწორად ანდა არასრულყოფილად წარდგენა - ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

მიხეილ თავდგირიძე, 40 წლის:

- ვინ ანაზღაურებს პირისთვის მიყენებულ ზიანს იმ შემთხვევაში, თუკი მოხდება მისი რეაბილიტაცია, ან დადგინდება, რომ უკანონოდ მიეცა პასუხისგებაში, უკანონოდ შეეფარდა აღმკვეთი ღონისძიება ან უკანონოდ დაეკისრა ადმინისტრაციული პატიმრობა ან ადმინისტრაციული სახდელი?

- რეაბილიტირებული პირისთვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს აანაზღაურებს სახელმწიფო, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.

სასამართლო ქრონიკა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ განაჩენი მსჯავრდებულთა სასიკეთოდ შეცვალა

ქურდული სამყაროს წევრობის, ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვის, ხულიგნობისა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისათვის ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 6-კაციანი დანაშაულებრივი ჯგუფი გაასამართლა.

საქმის მასალების მიხედვით, 2010 წლის მარტში, ხონის რაიონში მომხდარი ჩხუბი "ქურდული გარჩევებით" გაგრძელდა. მისი მონაწილეები რუსეთის ფედერაციაში, ქალაქ სარატოვში მცხოვრებ "კანონიერ ქურდ" ნოე წულაიას დაუკავშირდნენ, რომელმაც "ქურდული სამყაროს" უგულებელყოფისთვის თემურ ბერძენიშვილის დასჯის დავალება გასცა.

დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებმა მოილაპარაკეს, რომ ბერძენიშვილს ფიზიკურად გასწორებოდნენ, რითაც "კრიმინალური ავტორიტეტის" დავალებასაც შეასრულებდნენ და "ქურდული სამყაროსადმი" უარყოფითად განწყობილ მოსახლეობასაც დააშინებდნენ. თუმცა, მათი გეგმა ვერ განხორციელდა, რადგანაც, სამართალდამცველებმა გამოაშკარავეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის პარალელურად, სამტრედიის რაიონულ პროკურატურასა და მსჯავრდებულებს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება აღიარებით ბრალსა და შეთანხმებით სასჯელზე.

საქმის მასალების გაცნობის შემდეგ, სასამართლომ განსასჯელებისათვის დადებული მსჯავრი დადასტურებულად ცნო და საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული სასჯელი დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე სამართლიანად მიიჩნია.

სისხლის სამართლის პალატამ რაიონული სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულთა სასიკეთოდ შეცვალა . პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით გათვალისწინებული საპატიმრო სასჯელები 4-დან 11 წლამდე შემცირდა, დარჩენილი სასჯელი კი მსჯავრდებულებს პირობით ჩაეთვალათ. საბოლოოდ, გიორგი ჩანქსელიანს 3 წლით, მურმან და ზურაბ წივწივაძეებს - 5 წლით, შოთა ჭავჭანიძეს, კობა კაკაურიძესა და დიმიტრი ბუღაშვილს 4-4 წლით პატიმრობა მიესაჯათ.

უვადო პატიმრობა განზრახ მკვლელობისთვის

ბათუმის საქალაქო სასამართლომ თ.ბ. დამნაშავედ ცნო დ.კ-ის დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისთვის და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვისათვის.



დანაშაული 2010 წლის 5 მაისს ბათუმში მოხდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ.ბ-ს დაუკავშირდნენ გამოძიებით დაუდგენელი რუსი და აფხაზი ეროვნების პირები, რომლებმაც გარკვეული ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ შეუკვეთეს ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენებით დ.კ-ის მკვლელობა, რისთვისაც გადასცეს დისტანციური მართვის ასაფეთქებელი მოწყობილობა და საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში 50 000 აშშ დოლარის გადახდა აღუთქვეს. აღნიშნული დაკვეთის მიღებისთანავე თ.ბ. დაუკავშირდა ო.რ-ს და შესთავაზა ერთად განეხორციელებინათ აფეთქება, ხოლო აღებული ფულადი გასამრჯელო ურთიერთშორის გაენაწილებინათ, რაზედაც მისგან თანხმობა მიიღო.

2010 წლის 04 მაისს, დისტანციური მართვის ასაფეთქებელი მოწყობილობით შეიარაღებული თ.ბ. და ო.რ. ჩავიდნენ ბათუმში. ღამის საათებში თ.ბ-მ დ.კ-ის საცხოვრებელი სახლის ეზოში მდგარ მის სამსახურებრივ "ტოიოტა-ჰაილუქსის" მარკის ავტომანქანაზე დაამონტაჟა ასაფეთქებელი მოწყობილობა. 2010 წლის 05 მაისს, დილის საათებში, ო.რ-მ მოქმედებაში მოიყვანა ასაფეთქებელი მოწყობილობა, რასაც მოჰყვა აფეთქება, რის შედეგადაც დ.კ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

დანაშაულში მსჯავრდებულ თ.ბ-ს სასამართლომ უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამავე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის მსჯავრი სამ პირს - დ.რ-ს, ლ.ქ-ს და გ.გ-ს დაედოთ, რომლებსაც საპატიმრო სასჯელები მიესაჯათ.

განაჩენი "ქურდული სამყაროს" წევრობისთვის

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა "ქურდული სამყაროს" წევრობასა და გამოძალვაში ბრალდებულ ვასო და მერაბ ონიანების საქმის განხილვა. სასამართლო განაჩენით მათ 13-13 წლით წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

საქმის მასალების მიხედვით, `კანონიერი ქურდის" - ვალერი ძოწენიძის ბიძამ ნუგზარ ძოწენიძემ 2008 წლის აგვისტოში მერაბ კოხრეიძეს შესთავაზა ქუთაისში, თავის მფლობელობაში არსებულ რესტორან "იმერეთის" წილის შესყიდვა. ამ გარიგების სანაცვლოდ მან 40 000 დოლარი აიღო. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი რესტორნის წილის მიცემაზე უარი განაცხადა და მერაბ კოხრეიძეს გადახდილი თანხის ნაწილი დაუბრუნა. მას 14 500 დოლარი ვალად დარჩა. პარალელურად, ნუგზარ ძოწენიძემ კოხრეიძეს ახალი გარიგება შესთავაზა. კერძოდ, მისი კუთვნილი სატვირთო ავტომანქანით სომხეთიდან ევროპაში უნდა გადაეზიდათ ძვირადღირებული ლითონის წიდა, რომლის დაყაჩაღების ინსცენირებას მოაწყობდნენ "კანონიერ ქურდ" ტარიელ ონიანის ნათესავები - ვასო და მერაბ ონიანები. შედეგად, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები სადაზღვევო კომპანიიდან სოლიდურ თანხას მიიღებდნენ. კოხრეიძე ამ დანაშაულებრივ შეთანხმებაზე ჯერ დათანხმდა, მოგვიანებით კი, მასში მონაწილეობაზე უარი თქვა.

2010 წლის დეკემბერში, რესტორან "იმერეთში" ნუგზარ ძოწენიძეს, ვასო ონიანსა და მერაბ ონიანს შორის "ქურდული გარჩევა" შედგა. მათ გადაწყვიტეს, რომ მერაბ კოხრეიძე ნუგზარ ძოწენიძისაგან ვერც ვალად დარჩენილ 14 500 დოლარს მიიღებდა და დამატებით უნდა დაეჯარიმებინათ 5 000 დოლარით. "ქურდული გარჩევის" მონაწილეები კოხრეიძეს პირადი შეხვედრებისა და სატელეფონო საუბრების დროს სიცოცხლის მოსპობის მუქარით სთხოვდნენ აღნიშნული თანხის გადახდას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს. დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებით, სატელეფონო საუბრებსა და შეხვედრების ფარულ აუდიო და ვიდეო ჩანაწერებზე დაყრდნობით, მერაბ და ვასო ონიანების აღნიშნულ დანაშაულში მონაწილეობა სასამართლომ დადგენილად ცნო და მათ 13-13 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

სასამართლო ქრონიკა

შემსუბუქებული და ძალაში დაჯოვებული განაჩენი

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ გიორგი ბოლქვაძეს 17-წლიანი სასჯელი 4 წლით შეუმცირა. გიორგი ბოლქვაძე 2009 წლიდან სასჯელს ორი დანაშაულისათვის - ქურდობისთვის იხდის.



პირველი განაჩენით გიორგი ბოლქვაძეს დანაშაულთა ერთობლიობით მსჯავრი ქურდობის 8 ეპიზოდისთვის, მეორე განაჩენით კი - ქურდობის ერთი ეპიზოდისთვის დაედო. თბილისის სააპელაციო სასამართლომ გულდასმით შეისწავლა საქმეში არსებული მასალები, სასჯელის შეკრებისას დაშვებული ხარვეზი გამოასწორა და მსჯავრდებულს სასჯელი 4 წლით შეუმსუბუქა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ვლადიმერ მერებაშვილს კი დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის, ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარებისათვის 22 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულმა გორის რაიონის სოფელ ტყვიავის პოლიციის განყოფილებას ხელყუმბარა ესროლა, რის შედეგადაც დაზიანდა შენობის წინა ნაწილი და პოლიციის ავტომანქანები. შენობის წინ მდგომი ორი პოლიციელი კი სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა. მერებაშვილი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დაიკავეს და მისი სახლის ჩხრეკისას კიდევ ერთი ხელყუმბარა ამოიღეს.

ჩადენილ დანაშაულთა ერთობლიობით ვლადიმერ მერებაშვილს პირველი ინსტანციის სასამართლომ 22-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

მსჯავრდებულმა ჩადენილი დანაშაული არ აღიარა და სააპელაციო საჩივრით გამართლება მოითხოვა. მისი განმარტებით, მას არანაირი კავშირი არ ჰქონია დანაშაულთან და სახლიდან ამოღებული ხელყუმბარაც მას არ ეკუთვნოდა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი უცვლელი დატოვა, რადგან თვითმხილველი მოწმეების, ასევე დაზარალებული პოლიციელებისა და ჩხრეკაში მონაწილე ნეიტრალური პირების ჩვენებებით, ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე უტყუარად დადასტურდა ვლადიმერ მერებაშვილის ბრალეულობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაასრულა ტარიელ გოგალაძის სისხლის სამართლის საქმის განხილვა. 16-წლიანი პატიმრობა მას ნათესავის მკვლელობისთვის და სხეულის განზრახ დაზიანებისათვის მიესაჯა.

საქმის მასალების მიხედვით, ტარიელ გოგალაძის ოჯახში, დასთან სავახშმოდ მისულ თეიმურაზ ბოსტაშვილს დის მამამთილთან შელაპარაკება მოუვიდა.

ნათესავებს შორის უთანხმოების მიზეზი რძლის სამკურნალოდ საჭირო თანხა გახდა. დაზარალებულმა დას სამკურნალოდ საჭირო თანხის გადახდის პირობა მისცა, რაც მამამთილმა იუკადრისა და რძლის ძმას ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მამამთილისა და ძმის გასაშველებლად ჩხუბში ჩართული თამარ ბოსტაშვილი ხელში დაიჭრა. მისი ძმა კი სკანდალს მოერიდა და სახლიდან გამოვიდა. მსჯავრდებული დაზარალებულს სადარბაზოში დაეწია და მას დანით მუცლის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.

ჩადენილი დანაშაულისთვის პირველი ინსტანციის სასამართლომ გოგალაძეს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

განაჩენი სააპელაციო წესით მსჯავრდებულმა და მისი ინტერესების დამცველმა გაასაჩივრეს და გამართლება მოითხოვეს.

სააპელაციო სასამართლოში გოგოლაძემ ჩადენილი მკვლელობა აღიარა, ხოლო რძლისთვის სხეულის დაზიანების მიყენება არა განზრახ ქმედებით, არამედ გაუფრთხილებლობით ახსნა.

საბოლოოდ, სააპელაციო პალატამ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა.

21 წელი ყაჩაღობისა და თავისუფლების აღკვეთისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა გახმაურებული საქმის განხილვა და ყაჩაღობასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთაში ბრალდებულს 21 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

საქმის მასალებით, წარსულში ორჯერ ნასამართლევმა ლაშა ლაბაძემ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ, რამდენიმე კვირაში, გამოძიებით დაუდგენელ ორ პირთან ერთად, 2011 წლის 31 იანვარს, განიზრახა იარაღის მუქარით დაეყაჩაღებინა თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე მდებარე ფერადი ლითონების მიმღები პუნქტი. ლაბაძემ და მისმა თანმხლებმა პირებმა ხელფეხი შეუკრეს მიმღებ პუნქტში მყოფ პირებს, უკანონოდ აღუკვეთეს მათ თავისუფლება, გაიტაცეს თანხა - 860 ლარი და მიიმალნენ.

ღია სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვისას, ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ, თუმცა მისი ბრალეულობა დადასტურდა საქმეზე შეკრებილი შემდეგი მტკიცებულებებით: დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, მოწმეთა ჩვენებებით, დაზარალებულთა ჩვენებებით, ასევე ფოტოსურათზე ამოცნობის ოქმებითა და პირის ამოცნობის ოქმებით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ლაშა ლაბაძე დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად, დანაშაულთა ერთობლიობით განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 21 წლითა და 6 თვით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა კიდევ ერთი საქმის განხილვა. ბრალდებული ბადრი გ. 1998 წელს ყაჩაღობისთვის იყო ნასამართლევი, ამჟამად კი, ცივი იარაღის ტარებისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ იმყოფებოდა. 2011 წლის 11 ივნისს მას ახალი ბრალდება წაუყენეს - კვლავ ყაჩაღობის და ცივი იარაღის ტარებისთვის.

საქმის მასალების მიხედვით, 2011 წლის 2 ივნისს, დაახლოებით 10:30 საათზე, ბრალდებული ბადრი გ. თბილისში, ღაზოს ქუჩაზე მდებარე სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა, სადაც მან დანის მუქარით დააყაჩაღა მოქალაქე რიტა გ.

9 ივნისს დაახლოებით 11 საათზე, თბილისში, მიხაკო წერეთლის ქუჩაზე მან ასევე დანის მუქარით დააყაჩაღა ნათია შ. ბადრი გ. სამართალდამცველებმა 2011 წლის 11 ივნისს დააკავეს.

ღია სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვისას ბადრი გ-მ სრულად აღიარა ჩადენილი დანაშაული, გარდა აღიარებითი ჩვენებებისა ბადრი გ-ს მის მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურდა მოწმეთა და დაზარალებულთა ჩვენებებით, ნივთის ამოცნობის ოქმებით, პირადი ჩხრეკის ოქმებით, საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით და საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაამტკიცა ბრალის აღიარების საფუძველზე მხარეებს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. ბრალდებულ ბადრი გ-ს თბილისის საქალაქო სასამართლომ განაჩენთა ერთობლიობით 12 წლით, 11 თვითა და 28 დღით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, საიდანაც 10 წელს იგი მოიხდის სასაჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 2 წელი, 11 თვე და 28 დღე მას ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 3 წელი, 11 თვე და 28 დღე.

ამნისტია გაყალბებულ დოკუმენტებზე

პირველი გვერდიდან

მძღვანელი ვალდებულია წერილობით აცნობოს გაყალბებული-არასწორი მონაცემების შემცველი დოკუმენტის მფლობელ პირს ამ ფაქტის გამოვლენისა და კანონის მოქმედების გავრცელების პირობების შესახებ.

პირის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაწესებულების ხელმძღვანელი ვალდებულია მოპოვებული მასალები როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით შეინახოს, ანუ მოახდინოს არქივირება. ეს მასალები 2012 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, თუ პირი არ მიმართავს უფლებამოსილ დაწესებულებას ამნისტიის მოთხოვნის შესახებ განცხადებით, კანონმდებლობით ეს მასალები გადაეცემა საგამოძიებო ორგანოებს.

ამნისტია გავრცელდება მხოლოდ იმ ყალბ დოკუმენტებზე, რომელიც პირს 2007 წლი იანვრამდე აქვს გამოყენებული.

Vox Populi

გენადი ლეკიშვილი,
50 წლის:

- დასჯადია თუ არა, გამოძიების დროს ან სასამართლოში საქმის განხილვისას თარჯიმნის მხრიდან არასწორად თარგმნა, ექსპერტის მიერ - საკვლევი ობიექტის დაუცველობა ან ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის გაცემა? როგორი პასუხისმგებლობებია გათვალისწინებული კანონით ასეთ შემთხვევებში? ასევე, რა სასჯელს ითვალისწინებს მოწმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა?

- მოწმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა, ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემა, ექსპერტის მიერ განზრახ ან გაუფრთხილებლობით საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობა, ანდა თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორად თარგმნა გამოძიების დროს ან სასამართლოში ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასოთხმოციდან ორასორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

ნანა ტყეშელაშვილი,
24 წლის:

- რა სასჯელი არსებობს ისეთი დანაშაულისთვის, როგორიც არის უკანონო გარიგება არასრულწლოვანის ყიდვისთვის?

- არასრულწლოვნის ყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

ელისო გაგნიძე,
60 წლის:

- თუკი მოხდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ისე, რომ დაუსაბუთებელ ქონებას მიეცემა კანონიერი სახე, ეს ქმედება ჯარიმით დასჯადია თუ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ექვემდებარება?

- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო ან დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.

ეთერ გრიგალაშვილი,
40 წლის:

- სახელმწიფო კონტროლის ავლის გზით შემოტანილი ნივთის რა რაოდენობა ითვლება დიდ ოდენობად და განსაკუთრებით დიდ ოდენობად?

- სამალავით ან საქართველოს ეკონომიკური საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გზით სახელმწიფო კონტროლის გვერდის ავლით შემოტანილი ნივთი დიდ ოდენობად ითვლება, რომლის სატარიფო ღირებულების თანხა აჭარბებს ხუთი ათას ლარს, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომლის სატარიფო ღირებულების თანხა აჭარბებს თხუთმეტი ათას ლარს.

კანონმდებლობა

შეკრებების და მანიფესტაციების ჩაშლების უცხოური პრაქტიკა

პირველი გვერდიდან

მანიფესტაციების ორგანიზატორებს აქციაზე კანონდარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, მის აღმოსაფხვრელად 15-წუთიანი დრო მიეცემათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამის ორგანოებს უფლება ეძლევათ ორგანიზატორები კანონის შესაბამისად დასაჯონ, აქცია კი დაშალონ.

როგორც კანონმდებლები ირწმუნებიან, ცვლილების მიზანია საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება.

პარლამენტის ანალიტიკურმა დეპატრამენტმა მოამზადა კვლევა "შეკრებებისა და მანიფესტაციების რეგულირება საზღვარგარეთის ქვეყნებში", სადაც პირველ რიგში, დასახელებულია ის მოთხოვნები, რომელსაც ეუთო რეკომენდაციების სახით უწესებს მასთან დაკავშირებულ ყველა ქვეყანას.

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მარეგულირებელი წესების თანახმად, შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბალანსის დაცვა დაპირისპირებულ ინტერესებს შორის. კერძოდ - პროტესტის ან გაპროტესტების შესაძლებლობა და სახელმწიფო უშიშროება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, უწესრიგობის, არეულობის, დანაშაულის თავიდან აცილება, ადამიანების ჯანმრთელობის, მორალის, სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციით, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ შეკრების მიზეზით საფრთხე შეექმნება საზოგადოებრივ წესრიგს და, ამავე დროს, ნაკლებად ამკრძალავი რეაგირების მოხდენა შეუძლებელია, შეკრება უნდა დაიშალოს. ეს კი მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს კანონმდებლობაში. ეუთო-ს მოთხოვნით, შეკრების დაშლისას, რომელიც არაკანონიერად ტარდება, მაგრამ არ არის აგრესიული, სამართალდამცველები არ იყენებენ ძალას, ან თუ ძალის გამოყენების არიდება შეუძლებელია, მინიმუმამდე უნდა შეამცირონ ძალის გამოყენება. არ იყენებენ ცეცხლსასროლ ირაღს ადამიანების წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი თავს იცავენ ან სხვას იცავენ სიკვდილის გარდაუვალი საფრთხისგან ან მძიმედ დაშავებისგან. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესები ეხება ხალხის მასის გაკონტროლებისთვის საჭირო სხვა ტექნიკურ საშუალებებსაც, რომლებიც არ არიან პოტენციურად საზიანო, მაგალითად, ხელჯოხი, ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი.

დიდი ბრიტანეთის, ჰოლანდიის, ლიტვის, ლატვიაის, აშშ-ის, საფრანგეთის, ბულგარეთის, უკრაინის, სომხეთის და აზერბაიჯანის კანონმდებლობით კი, შეკრების უფლება შეიზღუდოს სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მორალის, სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოების, მიტინგის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე ინფექციურ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით. შეკრების ჩატარებაზე თანხმობის გაცემისას უფლებამოსილ პირს უფლება აქვს დემონსტრაციის ორგანიზატორებისგან ან მონაწილეებისგან მოითხოვოს ისეთი პირობები, რომ მაგალითად, არ შეფერხდეს პარლამენტის მუშაობა; მნიშვნელოვნად არ დაირღვეს საზოგადოებრივი წესრიგი; მნიშვნელოვნად არ დაზიანდეს ქონება; არ დაირღვეს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების რეჟიმი; არ შეექმნას საფრთხე საზოგადოებას, მათ შორის დემონსტრანტებს. რაც შეეხება შეკრების დაშლის წინაპირობებს, ამ ქვეყნების კანონმდებლობით, თუ უფლებამოსილი პირი მაგალითად, პოლიციელი, საფუძვლიანად მიიჩნევს, რომ მის იურისდიქციაში არსებული განსაკუთრებული გარემოებების გამო პოლიციის რესურსი არ იქნება საკმარისი იმისთვის, რომ არ დაუშვან სახალხო მსვლელობა, რომელიც შეიძლება არეულობაში გადაიზარდოს, იგი უფლებამოსილია სახელმწიფო მდივანთან შეთანხმების შემდეგ აკრძალოს მსვლელობა. თუ პოლიციის უფროსი ოფიცერი საფუძვლიანად მიიჩნევს, რომ დაწყებული სახალხო მსვლელობა შესაძლოა არეულობაში გადაიზარდოს უფლება აქვს გასცეს მითითებები, რომლის ძალითაც მსვლელობის ორგანიზატორებს დაეკისრებათ გარკვეული მოთხოვნების შესრულება. ზოგიერთ შემთხვევაში, ქალაქის მერი უფლებამოსილია წამოაყენოს მოთხოვნები ან შეზღუდვები, არ დაუშვას შეკრების ჩატარება ან უბრძანოს შეკრების ორგანიზატორებს და მის მონაწილეებს დაასრულონ შეკრება და დაიშალონ, თუ შეტყობინება შეკრების ჩატარების შესახებ არ არის წარმოდგენილი ან ნებართვა არ არის გაცემული მის ჩატარებაზე; ამასთან დარღვეულია შეკრების ჩატარების რომელიმე პირობა.

მსოფლიოს თითქმის ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში კანონით იკრძალება მანიფესტაციისა და შეკრების ჩატარება: სახელმწიფო, მუნიციპალურ ან პოლიციის ტერიტორიაზე; სასჯელაღკვეთის ადგილებში; სოციალურ-სარეაბილიტაციო ცენტრებში; თავდაცვის, უშიშროებისა და სამხედრო დანიშნულების ადგილებში; პროკურატურისა და სასამართლოს შენობებში; სახელმწიფო ბანკებში, სულ მცირე 50 მეტრში პრეზიდენტის რეზიდენციის, სახალხო დამცველის ოფისისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების წინ; ატომური ენერგიის სადგურებში ან სხვა ნაგებობებში, სადაც უშიშროების განსაკუთრებული ზომები ტარდება ან დაცულია შეიარაღებული დაცვის მიერ; სასაზღვრო-გამტარ პუნქტებთან ან სულ მცირე 300 მეტრში სახელმწიფო საზღვართან; სულ მცირე 50 მეტრში თავდაცვის ძალებთან, ხიდებზე, რკინიგზაზე, მაღაროებში, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებთან, იმ ადგილებში, სადაც ინფექციური დაავადებებია გავრცელებული ან სხვა ისეთ ადგილზე, სადაც შეიძლება ადამიანების სიცოცხლეს საფრთხე დაემუქროს; ასევე, არ შეიძლება შეკრების ჩატარება სახელმწიფო ხელისუფლების კუთვნილი შენობების 25 მეტრის რადიუსში - ზოგიერთ შემთხვევაში 75 მეტრის რადიუსში, არ შეიძლება ამ შენობების ბლოკირება; შეზღუდულია ხმის გამაძლიერებლების სიმძლავრის დონე.

რაც შეეხება პოლიციის მიერ ძალის გამოყენებას დიდი ბრიტანეთის, ჰოლანდიის, ლიტვის, ლატვიაის, აშშ-ის, საფრანგეთის, ბულგარეთის კანონმდებლობით. პოლიციამ შეიძლება გამოიყენოს ფიზიკური ძალა აჯანყებისა და სხვა მასობრივი არეულობის დროს, რომლებიც არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს. პოლიციას შეუძლია გამოიყენოს: ხელბორკილი, ხელკეტები, შემაფერხებელი მოწყობილობა, ცრემლსადენი გაზი, პოლიციის ძაღლები, დაბრკოლების დამანგრეველი და ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებამდე კი მან უნდა გააფრთხილოს პირი თავისი განზრახვის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წინასწარი გაფრთხილება შეუძლებელია ან მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ძალის გამოყენება უნდა ექვემდებარებოდეს პროპორციულობის პრინციპს. პოლიციის თანამშრომელი, რომელიც გადააჭარბებს ძალის გამოყენების კანონიერ ფარგლებს, არღვევს კანონს და პასუხს აგებს თავის ქმედებაზე.

ხსენებულ ქვეყნებში აკრძალულია იარაღის ან სპეციალური აღჭურვილობის გამოყენება (გარდა თავდაცვისთვის საჭირო აღჭურვილობისა) არასრულწლოვანების, ხანშიშესული ადამიანების და ფეხმძიმე ქალების წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევების, თუ მათგან მოსალოდნელია ჯგუფური ან შეიარაღებული თავდასხმა.

წესრიგის დასაცავად პოლიციამ შეიძლება გამოიყენოს ე.წ. არალეტალური იარაღი. მაგალითად, აშშ-ში კერძოდ, მიჩიგანის შტატში მოქმედებს სამუშაო სახელმძღვანელო პოლიციელებისთვის არალეტალური იარაღის (მაგ: არალეტალური იარაღია ე. წ. "ტაზერი" ელექტროშოკური იარაღი, რომლითაც შესაძლებელია დამნაშავის დროებითი პარალიზება, არ არის სიცოცხლისთვის საშიში, ასევე, ქიმიური ნივთიერებები პირველი დონის) გამოყენების შესახებ, რომლის თანახმად, ამგვარი იარაღი გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: მოქალაქეებსა ან თავად პოლიციის ოფიცრებზე ძალადობის შემთხვევაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი ზიანი და თუ ამ ძალადობას პოლიციელი ვერ აღკვეთს სხვა ალტერნატიული საშუალებით; იმ პირთა მიმართ, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ პოლიციას კანონიერი დაპატიმრების დროს, თუ ალტერნატიული ძალის გამოყენება არ არის საკმარისი ან ხელმისაწვდომი პოლიციის ოფიცრისთვის; რათა აღკვეთილი იქნას პატიმრის გაქცევა და რათა აღკვეთილი იქნას ქონების განადგურება.

არალეტალური იარაღის გამოყენებისას პოლიციის ოფიცერმა უნდა დაიცვას შემდეგი წესები: არალეტალური იარაღი გამოყენებული უნდა იყოს როგორც ბოლო საშუალება წესრიგის დასამყარებლად ან საფრთხის თავიდან ასაცილებლად; გამოყენებული უნდა იყოს იარაღის მხოლოდ გონივრული რაოდენობა; არალეტალური იარაღის გამოყენებისას, პირი, რომლის წინააღმდეგაც გამოყენებულია იარაღი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაუყოვნებლივი სამედიცინო დახმარებით, თუ ამის აუცილებლობაა ან თუ თავად ეს პირი მოითხოვს; არალეტალური იარაღის გამოყენების შემთხვევაში, პოლიციის ოფიცერმა უნდა წარუდგინოს ანგარიში თავისი განყოფილების უფროსს, სადაც უნდა ახსნას, თუ რა არალეტალური იარაღი გამოიყენა და რატომ გამოიყენა ეს იარაღი.

სასამართლო ქრონიკა

"თეატრონის" დაყაჩაღების საქმის განხილვა დასრულდა

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა ქუთაისში მდებარე საიუვილერო მაღაზია "თეატრონში" 2001 წელს მომხდარი ყაჩაღობის საქმის განხილვა.

საცავში დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ჯგუფურ ყაჩაღობასა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სიცოცხლისათვის საშიში ძალადობით თავისუფლების უკანონო აღკვეთაში ბრალდებულები - სულხან მაკარიძე, ზვიად ბიწაძე, გიორგი კობაძიძე, სერგო ქურცაძე და კახაბერ რევიშვილი სასამართლომ დამნაშავეებად ცნო. გარდა ჩამოტვლილი ბრალდებებისა, სერგო მაკარიძეს სასამართლო მსჯავრი დაცვის პოლიციის თანამშრომლის დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობისთვისაც დასდო.

საქმის მასალების მიხედვით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა "ფორდის" მარკის მიკროავტობუსის მძღოლი თავისივე მანქანის უკანა სავარძელზე გაკოჭილი მოათავსეს, თვითონ კი მანქანას უკანონოდ დაეუფლნენ. გატაცებული მიკროავტობუსით ყაჩაღური ჯგუფი ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე მაღაზია "თეატრონში" მივიდა. ცეცხლსასროლი და ავტომატური იარაღით

აღჭურვილმა პირებმა ფიზიკური ძალისა და იარაღის გამოყენებით განაიარაღეს დაცვის პოლიციის ორი თანამშრომელი, დაზიანებები მიაყენეს მაღაზიაში მყოფ პირებს და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ დახლებზე განთავსებულ დიდი ოდენობით ოქროს ნივთებს. განგაშზე მისულმა დაცვის პოლიციის თანამშრომელმა ალექსი ლილუაშვილმა დამნაშავეებს წინააღმდეგობა გაუწია, რა დროსაც სულხან მაკარიძემ მას ახლო მანძილიდან მუცლის არეში ესროლა. დამნაშავეები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ, ლილუაშვილი კი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

სასამართლომ მოუსმინა ოცდაათამდე დაზარალებულის, ოცამდე მოწმისა და დანაშაულის უშუალო მონაწილის - დავით თელიას განთქმით ჩვენებას. გაეცნო ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, ამოცნობის ოქმებსა და სხვა წერილობით მტკიცებულებებს. შედეგად მიიჩნია, რომ განსასჯელები დამნაშავეები არიან წარდგენილ ბრალდებაში.

აღნიშნულ დანაშაულზე სასჯელის დანიშვნის მომენტისათვის 4 განსასჯელი საპატიმრო მსჯავრს უკვე იხდიდა სხვა დანაშაულისათვის. შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით განსაზღვრულ სასჯელს სხვა დანაშაულისათვის მოუხდელი სასჯელიც დაემატა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, სულხან მაკარიძეს საბოლოო მოსახდელად განესაზღვრა 33 წლით თავისუფლების აღკვეთა. ზვიად ბიწაძეს - 24 წლით, გიორგი კობახიძეს - 19 წლით, კახა რევიშვილს - 40 წლით, სერგო ქურცაძეს კი 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

საგამომცემლო ჯგუფი:
მარიამ ბერიშვილი
ხათუნა ბარათაშვილი
თამარ გურული
ტელ: 899 97 72 12
899 43 74 03.
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com